საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი №1

ქ. ბათუმი 10 სექტემბერი, 2017 წელი

სხდომას ესწრებიან:
საკონკურსო კომისიის წევრები:

1. პროფ. ვლადიმერ ღლონტი - თავმჯდომარე;
2. პროფ. რეზო მანველიძე;
3. პროფ. ეთერ ხარაიშვილი;
4. პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი;
5. პროფ. ვაჟა ვერულიძე;

სხდომას ესწრებიან ასევე: საპროცედურო კომისიის წევრი არჩილ ვარშალომიძე, სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრის, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი **ხათუნა ხალვაში.**

დღის წესრიგი:

1. საკონკურსო დოკუმენტაციის/ბაინდერების და ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიღება-ჩაბარება საპროცედურო კომისიისაგან, ხოლო კონკუსანტების მიერ ელექტრონულ მისამართზე bsukonkursi2017@bsu.edu.ge წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრის, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარ სპეციალისტ ხათუნა ხალვაშისაგან;
2. ,,2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს N 01-08/58 საფუძველზე *კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი* **საკონკურსო მასალის** - კონკურსანტების განცხადებების, კონკურსანტების ანკეტებისა და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის **სისრულის** (კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობის) **შემოწმება.**

მოისმინეს: საპროცედურო კომისიის წევრმა ხათუნა ხალვაშმა განმარტა, რომ *,,2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის*

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღების ვადა განისაზღვრა 2017 წლის 7 სექტემბრიდან 9 სექტემბრის 16 სთ-მდე. საპროცედურო კომისიაში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად სულ შემოვიდა 12 (თორმეტი) განცხადება, თანდართული დოკუმენტებით. *,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების* თანახმად, საპროცედურო კომისია ვალდებულია ზემოთ მითითებული დოკუმენტაცია გადასცეს საკონკურსო კომისიას.

1. **საკონკურსო კომისიის წევრებმა ერთხმად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:** საპროცედურო კომისიის წევრის ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად, საკონკურსო კომისიამ (თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით) მიიღოს საკონკურსო დოკუმენტაცია და ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენილი მასალა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. საკონკურსო კომისიამ ასევე ჩაიბაროს კონკუსანტების მიერ ელექტრონულ მისამართზე bsukonkursi2017@bsu.edu.ge წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის წევრის, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარ სპეციალისტ ხათუნა ხალვაშისგან და შედგეს მიღება-ჩაბარების აქტი (აღნიშნული აქტები დაერთოს წინამდებარე ოქმს).

მოისმინეს: 2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ პროფ. ვლადიმერ ღლონტმა განმარტა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხის შესაბამისად უნდა შევისწავლოთ საპროცედურო კომისიისაგან მიღებული საკონკურსო მასალა და დავადგინოთ, თუ არის სრული და კონკურსის ძირითად პირობებთან შესაბამისობაში.

1. **საკონკურსო კომისიის წევრებმა ერთხმად, ღია კენჭისყრით დაადგინეს:**

2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს N 01-08/58 საფუძველზე *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ცხრა ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე:*

1. ჯემალ ანანიძე
2. რამინ ცინარიძე
3. სულიკო ფუტკარაძე
4. ნოდარ ფუტკარაძე
5. ლილით მელოიან-ფუტკარაძე
6. ლეოლა ცეცხლაძე
7. ნანული მახარაძე

8. ნატო ჯაბნიძე
9. ეკატერინე შაინიძე
10. ირინე თავაძე
11. ედვარდ მიქელაძე
12. ნატალია რობიტაშვილი

მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის პირველადი განხილვის საფუძველზე დგინდება, რომ:

*ა) **შესაბამისობაშია*** კონკურსის ძირითად პირობებთან შემდეგი კონკურსანტების დოკუმენტაცია:

1. რამინ ცინარიძე
2. ნოდარ ფუტკარაძე
3. ლილით მელოიან-ფუტკარაძე
4. ლეოლა ცეცხლაძე
5. ნანული მახარაძე
6. ნატო ჯაბნიძე
7. ეკატერინე შაინიძე
8. ირინე თავაძე
9. ნატალია რობიტაშვილი;

ბ) ***არ არის შესაბამისობაში*** კონკურსის ძირითად პირობებთან (დარღვეულია სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მუხლი 3, პუნქტი 6, ა) ქვეპუნქტი) შემდეგი კონკურსანტების დოკუმენტაცია:

1. ჯემალ ანანიძე
2. სულიკო ფუტკარაძე
3. ედვარდ მიქელაძე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კონკურსიდან უნდა მოიხსნან შემდეგი კონკურსანტები: ***ჯემალ ანანიძე; სულიკო ფუტკარაძე; ედვარდ მიქელაძე.***

წინამდებარე საოქმო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (გადაიგზავნოს ინფორმაცია ელექტრონული მისამართზე: web@bsu.edu.ge).

2. მომდევნო სხდომაზე მოხდეს კონკურსანტების შეფასება და შევსებული იქნეს *„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების დანართი (კონკურსანტის შეფასების ფორმა) თითოეულ კონკურსანტზე.*

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე,
პროფესორი — ვ. ღლონტი

მდივანი, პროფესორი — რ. მანველიძე